საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **2011 წლის 21 ნოემბერი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 82

,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ" 2011 წლის 6 ივნისის № 54 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ" 2011 წლის 6 ივნისის № 54 დადგენილებაში და ჩამოყლიბდეს შემდეგნაირად:

– მუსიკის ფაკულტეტზე აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით, ინდივიდუალური სამუშაოს ხანგრძლივობა დგინდება ფაკულტეტის დეკანთან და დეპარტამენტების ხელ-მძღვანელებთან შეთანხმებით.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და მუსიკის ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**